

კრედიტინფო საქართველო და საქართველოს
ეკონომიკა

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა	3
შესავალი	5
მსოფლიო ბანკის დასკვნა საქართველოში კრედიტის ხელმისაწვდომობის შესახებ	6
კრედიტის აღების შესაძლებლობა	6
საკრედიტო ბიუროში არსებული მონაცემების სიღრმისეულობა	7
მსესხებლებისა და კრედიტორების კანონიერი უფლებები	8
გადახდისუუნარობის პრობლემის მოგვარება	10
კრედიტინფო საქართველოს წვლილი საკრედიტო სექტორში	10
საკრედიტო რისკებთან დაკავშირებული მონაცემებისა და შეფასების სისტემის დანერგვა	10
კრედიტის ზრდა საკრედიტო რისკების სრულად მართვის მეშვეობით	12
დაბალფასიანი სერვისები კრედიტორებისთვის	14
კრედიტის გაზრდილი ხელმისაწვდომობა	15
შემცირებული საპროცენტო განაკვეთი	16
ფინანსური სტაბილურობა დეფოლტის დასაშვებ დონესთან ერთად	17
დასკვნა	18

მოკლე მიმოხილვა

საერთაშორისო კომპანია IRP-მ მოამზადა ანგარიშის იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს **კრედიტინფო საქართველო** ქართულ ეკონომიკასა და ფინანსური მომსახურების სექტორზე.

კრედიტების მიღების თვალსაზრისით, **მსოფლიო ბანკის** „ბიზნესის კეთების ანგარიშში“ საქართველოს ეკონომიკას საკმაოდ მაღალი შეფასება აქვს. საქართველოს ეკონომიკა **მსოფლიო ბანკის** მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეფასებულ 190 ქვეყნის ეკონომიკას შორის მე-7 ადგილზე იმყოფება, ხოლო რეგიონულ ბაზარზე პირველია რუმინეთთან ერთად.

აღნიშნული, უმეტესეწილად, **კრედიტინფო საქართველოს** მიერ შექმნილი დადებითი მონაცემთა ბაზის დამსახურებაა, რომელსაც ანალოგიურ ბაზრების რეიტინგში წამყვანი ადგილი უკავია და **მსოფლიო ბანკის** 8-ქულიანი შეფასების სისტემით 8 ქულა აქვს მინიჭებული.

საქართველოში საკრედიტო ინდუსტრია განუხრელად იზრდებოდა როდესაც, 2005 წელს **კრედიტინფო საქართველომ** დაიწყო მუშაობა. საკრედიტო ბაზარზე მცირედი უარყოფითი გავლენა იქონია 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. აღნიშნულს თან ახლდა დეფოლტის სტაბილური მაჩვენებელი.

სტატისტიკურად საქართველოში დაკრედიტების ზრდა **კრედიტინფო საქართველოს** მონაცემთა ზრდის შესაბამისად მიმდინარეობს. აღნიშნული კორელაცია მოსალოდნელია, თუმცა სტატისტიკა მიზეზების განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა. საინტერესოა, იწვევს თუ არა უფრო მეტი კრედიტის გაცემა საკრედიტო ბიუროში მეტი მონაცემის დაფიქსირებას, ან პირიქით, საკრედიტო ბიუროში არსებული მეტი მონაცემი იძლევა თუ არა მეტი კრედიტის გაცემის საშუალებას? მიზეზი ნათელი ხდება მხოლოდ საკრედიტო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ.

კრედიტინფო საქართველოს საბანკო კლიენტებმა IRP-სთან საუბრისას განაცხადეს, რომ მომხმარებლებისთვის კრედიტების გაცემა მხოლოდ მიმდინარე მდგომარეობის შეფასებით ხდება. ეს შესაძლებელი გახდა საკრედიტო ბიუროში არსებული მონაცემების ზრდამ და საკრედიტო ქულების შემუშავებამ. კარგი საკრედიტო მონაცემების არსებობას შედეგად მოჰყვა ბანკების მიერ კრედიტის გაცემის მეტი შესაძლებლობა.

ბოლო ხანებში საქართველოში მოკლევადიანი კრედიტების გაცემის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა. ზემოაღნიშნული ტიპის სესხების მაძიებლებთან მიმართებაში კრედიტორები სარგებლობენ კრედიტინფო საქართველოს საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მსესხებლების შეუსრულებელი ვალდებულებების შესახებ. აღნიშნულის მეშვეობით შესაძლებელია „არაკეთილსინდისიერი“ მომხმარებლების გამოვლენა. თუმცა ეს არ წარმოადგენს სათანადო მექანიზმს დამწყები სუბიექტებისთვის, მათთვის, ვისაც ჯერ არ აქვს საკრედიტო ისტორია. მოკლევადიანი სესხების ზრდის გამო, კრედიტორებისთვის აღნიშნული მონაცემების მნიშვნელობა გაიზარდა და წარმოადგენს ძირითად ფაქტორს კრედიტების გაცემის ხარისხის გასაუმჯობესებლად.


დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკრედიტო ბიუროს ზრდა და კრედიტორთათვის მის ბაზაში არსებული მონაცემების სანდოობა პირდაპირ კავშირშია კრედიტის ხელმისაწვდომობასთან და ფინანსური ბაზრის ზრდის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მოკლევადიანი კრედიტების ბაზარზე მონაცემთა გაზრდილი რაოდენობა საგრძნობლად დაასტაბილურებს მოცემულ სეგმენტში მოკლევადიანი და, ამავდროულად, სანდო კრედიტების გაცემის პროცესს.

შესავალი

კრედიტინფო საქართველო შეიქმნა 2005 წელს, და საქართველოს უდიდესი ბანკებისა და კრედიტინფოს ერთობლივ პროდუქტს წარმოადგენდა. აღნიშნული ბანკები აღიარებდნენ, რომ საკრედიტო ბიუროს განვითარება მათ საკრედიტო პროდუქტების გაფართოების და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვადაგადაცილებებისა და დეფოლტის დონეების მართვის შესაძლებლობას მისცემდა.

თავდაპირველად კრედიტინფო საქართველოში უარყოფითი ინფორმაცია იგზავნებოდა. შემდეგ ბანკები დარწმუნდნენ, რომ უმჯობესი იქნებოდა, მათ მიერ მიწოდებული მონაცემები ყოფილიყო დადებითი. მიწოდებული სესხების ლიმიტი იზრდებოდა ბიუროსა და ბანკების მიერ მიწოდებულ მონაცემთა მიმართ სანდოობის ხარისხის ზრდასთან ერთად. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, ყველა ძირითადი ბანკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (დაახლოებით 100 000 აშშ დოლარამდე სესხები) 2011 წლისთვის, საკრედიტო ბიუროს ერთ სულ მოსახლეზე 1 ჩანაწერი გააჩნდა, რაც გაცილებით დაბალი იყო განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებულ დონესთან შედარებით.

Number of Records




ძირითად ბაზარზე ბანკების მიერ შეთავაზებული კრედიტის ზრდას შემდგომში მოჰყვა მოკლევადიანი და მცირე ე.წ სწრაფი კრედიტების ზრდა საქართველოში. აღნიშნული ტენდენცია შემოვიდა ევროპიდან და იმართებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში არსებული ფინანსური კომპანიების მიერ. აღნიშნულმა ვითარებამ საკრედიტო ბიუროში არსებული ჩანაწერების რაოდენობის ზრდა გამოიწვია. შედეგად, ბიუროს ერთ სულ მოსახლეზე უკვე, დაახლოებით, 4½ ჩანაწერი გააჩნია, რაც სავსებით შეესაბამება ევროპის უმეტესი ქვეყნის მაჩვენებელს.

მსოფლიო ბანკის დასკვნა საქართველოში კრედიტის ხელმისაწვდომობის შესახებ

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების ანგარიში“ წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ გამოცემულ ყოველწლიურ ანგარიშს, რომელშიც ბიზნესსაქმიანობის შესაძლებლობის კუთხით ფასდება მსოფლიოს 190 ქვეყანა. შეფასების ერთ ძირითად კრიტერიუმს კომპანიებისა და ფიზიკური პირებისთვის კრედიტის გაცემის სიმარტივე წარმოადგენს.

კრედიტის აღების შესაძლებლობა

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას კრედიტის მიღების კუთხით საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს. ქართული ეკონომიკა მსოფლიო ბანკის მიერ შეფასებული 190 ქვეყნის ეკონომიკას შორის მე-7 ადგილზეა, ხოლო რეგიონულ ბაზრებზე (აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია) პირველია რუმინეთთან, მონტენეგროსთან და ლატვიასთან ერთად.



მსოფლიო ბანკის რეიტინგი კრედიტზე ხელმისაწვდომობის შესახებ (რეიტინგი მოცემულია ფრჩხილებში)

საკრედიტო ბიუროში არსებული მონაცემების სიღრმისეულობა

აღნიშნული, უმეტესწილად, კრედიტინფო საქართველოს მიერ წარმოებული საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზის დამსახურებაა, რომელსაც ანალოგიურ ბაზრებთან შედარებისას უმაღლესი რეიტინგი აქვს და მსოფლიო ბანკის 8-ქულიანი შეფასების სისტემით 8 ქულა აქვს მინიჭებული.

Lithuania	8
Latvia	8
Georgia	8
Armenia	8
Uzbekistan	7
Ukraine	7
Turkey	7
Tajikistan	7
Serbia	7
Russian Federation	7
Romania	7
Macedonia, FYR	7
Kazakhstan	7

მსოფლიო ბანკის რეიტინგი საკრედიტო ბიუროში არსებული მონაცემების ხარისხის შესახებ

მსოფლიო ბანკს მიაჩნია, რომ ძლიერი საკრედიტო ბიურო სანდო კრედიტების გაცემის საშუალებას იძლევა და ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში სრულყოფილი დადებითი მონაცემების გაცვლაზე, რომლებიც ყველა კრედიტორისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

მსესხებლებისა და კრედიტორების კანონიერი უფლებები

მაშინ როდესაც მონაცემების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია, მსოფლიო ბანკი ყურადღებას ასევე ამახვილებს მსესხებლებისა და კრედიტორების კანონიერ უფლებებზე და ასევე იმ რეგიონებზე, სადაც საქართველო საუკეთესო რეიტინგის მქონე ქვეყნებს შორისაა. აღნიშნული ასახავს პრობლემური სესხების დაბრუნებასთან დაკავშირებულ სირთულეებს.



მსოფლიო ბანკის ცხრილი მსესხებლებისა და კრედიტორების უფლებების შესახებ.

არსებული ქულა გაუმჯობესდა 2017 წელს, როცა მსოფლიო ბანკმა აღიარა, რომ „საქართველომ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონონის იმპლემენტაციის მეშვეობით, საგრძნობლად გააუმჯობესა საკრედიტო ინფორმაციის სისტემა“. აღნიშნულმა მოვლენამ განაპირობა ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონიერი უფლებების კუთხით სრულყოფილი მაჩვენებელი აქვს.

საკრედიტო ბიუროების რეგულაცია - მათში დაცული მონაცემებისა და კლიენტების მიერ აღნიშნული მონაცემების გამოყენების კონტროლი - შეიძლება სამი დონიდან ერთ-ერთზე განხორციელდეს: კომერციული ხელშეკრულების საშუალებით, სამრეწველო ორგანოს ან მთავრობის მიერ. მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, იმ ქვეყნებში, სადაც მონაცემთა შესაძლებლობები კარგად აქვთ გააზრებული და მონაცემთა კონფიდენციალურობა მთავრობის მიერ კონტროლდება, რეგულირებისთვის, ძირითადად, კომერციული ხელშეკრულებები და სამრეწველო ორგანოები გამოიყენება. მთავრობის მხრიდან რეგულაციების მკაცრ კონტროლს შედეგად მოსდევს ინოვაციების, კრედიტების გაუმჯობესებისა და ეკონომიკის ზრდის შეზღუდვა. IRP მიიჩნევს, რომ საქართველოში უფრო მეტი რამ შეიძლება გაკეთდეს სამრეწველო ჯგუფების მიერ.

გადახდისუუნარობის პრობლემის მოგვარება


მსოფლიო ბანკის ანგარიშის კიდევ ერთ ძირითად მაჩვენებელს, რომელზეც შეიძლება საკრედიტო ბიუროს ჰქონდეს ზეგავლენა, გადახდისუუნარობის საკითხის ადვილად მოგვარება წარმოადგენს. აღნიშნულ კატეგორიაში საქართველოს მიერ განხორციელებული ქმედებები არასაკმარისია (ბევრად უარესია აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით). საქართველოში სესხის უკან დაბრუნების ფაქტობრივი კოეფიციენტი 39.5%-ს შეადგენს, მაშინ როცა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით, ეს მაჩვენებელი საშუალოდ 73%-ია. იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკისთვის კრედიტინფო საქართველოს მიერ გაწეული მხარდაჭერის შეფასების რეალური საშუალება არ არსებობს, აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ იმ სფეროთაგანს, რომელშიც კრედიტინფო საქართველოს შეუძლია, უფრო მეტად შეუწყოს ხელი ეკონომიკას.

კრედიტინფო საქართველოს წვლილი საკრედიტო ეკონომიკაში

საკრედიტო რისკებთან დაკავშირებული მონაცემებისა და შეფასების სისტემის დანერგვა

კრედიტინფო საქართველომ თავის აქციონერებთან ერთად გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს საკრედიტო ბაზარზე საკრედიტო რისკების მართვის მსოფლიო დონის სისტემის დანერგვაში. მონაცემთა ზრდა ნაჩვენებია მე-2 თავში, რომლის მიხედვითაც ჩანაწერების რაოდენობა 2011 წელს ერთ სულს მოსახლეზე მხოლოდ 1 სასესხო კონტრაქტს შეადგენდა, 2016 წლის ბოლოსთვის კი, დაახლოებით, 4.5 ჩანაწერამდე გაიზარდა. აღნიშნული ასახავს სტაბილურ ზრდას და, ერთი მხრივ, ქართული საკრედიტო ბაზრის ზრდას, მეორე მხრივ კი - საკრედიტო ბიუროს უდავო წარმატებას ასახავს.

ფიზიკური პირებისა და კომპანიების საკრედიტო რისკის შესაფასებლად კრედიტინფო საქართველომ დანერგა საკრედიტო ქულის (სქორინგი) სისტემა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებულ ნორმებს.



კრედიტინფო საქართველოს საკრედიტო ქულის განაწილება

ძირითად სეგმენტებში განაწილება ძალიან კარგია, რისი წყალობითაც შესაძლებელი გახდა ბანკებისა და ძირითადი კრედიტორებისთვის საკრედიტო რისკების მართვის მექანიზმების მიწოდება და მათი პასუხისმგებლობის მქონე კრედიტორებად გადაქცევა.


ქვესეგმენტში განაწილება (E3 კატეგორია) შედარებით ნაკლები დიფერენციაციით ხასიათდება. თუმცა მცირე და მოკლევადიანი კრედიტის გამცემ კრედიტორებს

დაბალი რისკის მქონე პროტენდენტების იდენტიფიცირებაში, ძირითადად, ქულები ეხმარება.

აღნიშნულმა დიფერენციაციამ ყველა ბაზარს მიაწოდა მნიშვნელოვანი მექანიზმები საკრედიტო რისკებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

კრედიტის ზრდა საკრედიტო რისკების სრულად მართვის მეშვეობით

კრედიტინგო საქართველოს მიერ შემუშავებული საკრედიტო რისკების მართვის მექანიზმების მეშვეობით, კრედიტორებმა შეძლეს კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით. საქართველოში სესხების ზრდის შესწავლისას ცხადად იკვეთება კავშირი კრედიტინგო საქართველოს მონაცემთა ბაზებში დაფიქსირებულ მიებათა რაოდენობასთან.



კრედიტინგო საქართველოს ბაზაში განხორციელებული მიებებისა და გაცემული სესხების რაოდენობის ზრდის შედარება

კრედიტინფო საქართველოს საქმიანობის დაწყების შემდეგ დაფიქსირდა სესხების სტაბილური ზრდა, რამაც, ინფორმაციის ძიებათა შესაბამისი ზრდა გამოიწვია. აღნიშნული ცხადყოფს, რომ კრედიტინფო საქართველოს მიერ მიწოდებული მონაცემები კრედიტორების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას აქტიურად გამოიყენება.


კრედიტინფო საქართველოს საბანკო კლიენტებმა IRP-სთან საუბრისას განაცხადეს, რომ მომხმარებლებისთვის კრედიტების გაცემა მხოლოდ მიმდინარე მდგომარეობის შეფასებით ხდება. ეს შესაძლებელი გახდა საკრედიტო ბიუროში არსებული მონაცემების ზრდამ და საკრედიტო ქულების შემუშავებამ. საკრედიტო ორგანიზაციებმა მიაღწიეს იმ მდგომარეობას, როცა სწრაფი საკრედიტო გადაწყვეტილებების მისაღებად კრედიტინფო საქართველოს მონაცემებზე არიან დამოკიდებულნი და ბიუროს ხელმისაწვდომობა მათთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. კარგი საკრედიტო მონაცემების არსებობას შედეგად მოყვება ორგანიზაციების მიერ კრედიტის გაცემის მეტი შესაძლებლობა.

საკრედიტო ბიუროებს არ შესწევთ კრედიტის ტიპების მართვის უნარი და მოკლევადიანი სესხების სტაბილური ზრდა ქართული ეკონომიკის მიღწევას წარმოადგენს. მოკლევადიანი სესხების გამცემი ორგანიზაციების მიერ ძალიან ეფექტურად გამოიყენება კრედიტინფო საქართველოს მონაცემები. თუმცა, კომპანიები იმასაც აღიარებენ, რომ აღნიშნული ტიპის სესხებისთვის მათ გაუმჯობესებული სერვისები ესაჭიროებათ. გაუმჯობესებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით ისინი ცდილობენ მონაცემების მუდმივ მოძიებას, რათა მათი ბიზნესის რენტაბელურობა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ახალ მოთხოვნებს, საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვართან დაკავშირებით.

საკრედიტო პროვაიდერებისთვის ბიუროს ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, მათ მიერ სწორი და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების საკითხი კრედიტინფო საქართველოზეა დამოკიდებული.

დაბალფასიანი სერვისები კრედიტორებისთვის

კრედიტინფო საქართველოს მომსახურების ფასები საკმაოდ დაბალია და ანალოგიურია სხვა ისეთი ბაზრებისა, სადაც ერთმანეთს კონკურენციას მრავალი საკრედიტო ბიურო უწევს. საფასო პოლიტიკა სხვა მონოპოლიურ ბაზრებთან შედარებით გაცილებით უკეთესია (იგულისხმება ის ბაზრები, სადაც ერთ საკრედიტო ბიუროს გააჩნია საბაზრო წილის 90% ან მეტი). აღნიშნული წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე. კრედიტინფო საქართველოს ფასი გაცილებით დაბალია ორივე ტიპის ბაზართან შედარებით, ა) სადაც წარმოდგენილია სამი ერთმანეთის მიმართ აგრესიული კონკურენტი და ბ) სადაც მოქმედებს სამთავრობო ბიურო.




უმსხვილესი მომხმარებლების მიერ გადახდილი საფასური გაცილებით დაბალია, ვიდრე ისეთი კომპანიების მიერ გადახდილი საფასური, როგორცაა, მაგალითად Amex-ი აშშ-ში, რომელიც წელიწადში ინფორმაციაზე ათეულობით მილიონ მოთხოვნას ახორციელებს.

გადახდილი საფასური არ შეესაბამება თითოეულ მოსახლეზე მოთხოვნილი ინფორმაციის რაოდენობას. აღნიშნული საკითხის ანალიზი უჩვენებს, რომ ერთი წლის განმავლობაში თითოეულ მოსახლეზე, საშუალოდ, 3 ძიება ხორციელდება, რაც ძალიან ახლოსაა გაერთიანებული სამეფოს მონაცემებთან. თუმცა, გაერთიანებულ სამეფოში ფასები სამჯერ აღემატება საქართველოში არსებულ ფასებს.

კრედიტის გაზრდილი ხელმისაწვდომობა

მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ საქართველოში სესხების რაოდენობა იზრდება, რაც მჭიდრო კავშირშია საკრედიტო ბიუროში არსებულ მონაცემებზე განხორციელებულ ძიებებთან. მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული მატება მიანიშნებს, რომ კრედიტების ზრდა ეკონომიკის ზრდას ასახავს და კონტროლის ფარგლებს არ სცილდება.




სესხების წილის ზრდა საქართველოს მშპ-ში.

აღნიშნული უჩვენებს, რომ კრედიტორების უმრავლესობა გამოირჩევა პასუხისმგებლიანი დაკრედიტებით და ამის საშუალებას მათ კრედიტინგო საქართველოს საკრედიტო რისკების მართვის მექანიზმები აძლევს.

შემცირებული საპროცენტო განაკვეთი

სესხების რაოდენობის ზრდასთან ერთად შემცირდა დადგენილი საპროცენტო განაკვეთები. საგულისხმოა, რომ ეს 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ მოხდა.




საშუალო საპროცენტო განაკვეთების ეტაპობრივი შემცირება საქართველოში

დაბალი საპროცენტო განაკვეთით გაცემული სესხების რაოდენობის ზრდა შესაძლოა მიუთითებდეს, რომ სესხები დაბალი პროცენტის არსებობით საზრდოობენ. იაფი სესხებით მართული ეკონომიკა, ჩვეულებრივ, მრავალი დარღვევისა და დეფოლტის საფრთხის წინაშე დგება. თუმცა, აღნიშნული რამ საქართველოში არ მომხდარა.

ფინანსური სტაბილურობა დეფოლტის დასაშვებ დონესთან ერთად

სესხების რაოდენობის ზრდა დარღვევების რაოდენობის ზრდის პარარელურად არ მიმდინარეობდა. პირიქით, სესხებზე დანაკარგების კოეფიციენტის თვალსაზრისით, მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ - კერძოდ 2009 წლიდან დღემდე დაღმავალი ტენდენცია შეინიშნება.



გაცემული სესხებისა და სესხებზე დანაკარგების შედარება საქართველოში

აღნიშნული, ძირითადად, გამოწვეულია მონაცემთა გაზიარების, საკრედიტო ქსელებით შეფასების სისტემის დანერგვისა და კრედიტინგო საქართველოს კლიენტების მიერ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად. ეკონომიკისთვის სასარგებლო აღმოჩნდა საკრედიტო ბიუროსა და მისი მექანიზმებისა თუ სერვისების მიღება. ეროვნულმა ბანკმა გაზარდა ბაზრის რეგულირების მასშტაბი, რაც ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული ადეკვატური კონტროლის კარგი მაგალითია. ბაზრის დანარჩენი ნაწილის მიერ სესხების გაცემა პასუხისმგებლობით ხორციელდება და დამატებით კონტროლს არ საჭიროებს.

დასკვნა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში კრედიტინგო საქართველო ქართული ეკონომიკის ძირითად პარტნიორს წარმოადგენდა. ის კვლავაც უზრუნველყოფს მას საკრედიტო რისკების მართვის პლატფორმით რაც პასუხისმგებლიან კრედიტორებს წარმატების,

მომხმარებლებს კი კრედიტის სასურველი საპროცენტო განაკვეთით მიღების საშუალებას აძლევს.

ბოლო დროს მიღებულმა რეგულაციებმა საგრძნობლად გაზარდა მომხმარებლებისა და კრედიტორების უფლებები და შექმნა სტაბილური გარემო, სადაც კლიენტისთვის კრედიტის გაცემა გამჭვირვალედ და თანმიმდევრულად ხორციელდება.

უდავოდ ბევრი რამ გაკეთდა მცირე ბიზნესისა თუ დამწყები საწარმოებისთვის კრედიტის გაცემის პროცესის გასაუმჯობესებლად. აუცილებელია კვლავაც შეეწყოს ხელი ბიუროს - ახალი მონაცემების მოპოვებასა და კომპანიების შეფასების სისტემის დახვეწაში, რაც მომავალში გამაძლიერებელ ეფექტს იქონიებს ქართულ ეკონომიკაზე.